ხანძარი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში

სცენარი N1 რისკის მიხედვით: შენობაში ხანძარი შესაძლოა გავრცელდეს, როგორც მხოლოდ შენობის კონკრეტულ ნაწილში, ასევე მთლიანად შენობის მასშტაბით. შესაბამისად, შეიძლება მოხდეს გასასვლელებსა და ცალკეულ ოთახებში კვამლის დაგროვება, რაც გამოიწვევს შენობაში მყოფი პირების ინტოქსიკაციას. მოსალოდნელია ცალკეულმა თანამშრომლებმა მიიღონ სხვასხვა ხარისხის დამწვრობა. მაღალმა ტემპერატურამ შესაძლოა გამოიწვიოს მზიდი კონსტრუქციის დაზიანება, რასაც შეიძლება მოჰყვეს შენობის ცალკეული ელემენტების ნგრევა და გასასვლელების (მათ შორის საევაკუაციო) ჩახერგვა.

საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის მიხედვით გასატარებელი ღონისძიებები

პ რ ე ვ ე ნ ც ი ა

პერიოდულად უნდა შემოწმდეს ელექტროგაყვანილობის ვარგისიანობა, გამოვლინდეს ადვილად დაზიანებადი წერტილები და მიღებულ იქნას ტექნიკური ზომები მოწყვლადობის აღმოფხვრის მიზნით. გეგმიურად უნდა მიმდინარეობდეს ხანძრის პროფილაქტიკური ღონისძიებები სახანძრო უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და ნორმების შესაბამისად.

გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების დეტალური გეგმა
სცენარი შიდა საფრთხის N1 რისკის მიხედვით

№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი	ღონისძიების განხორციელებაში დამხმარე პირები	განხორციე-ლების ვადები	შენიშვნა
1	ელექტრო გაყვანილობის, დენცქვიტების, ელექტრო - გამანაწილებელი დაფების, ჩამრთველების ვარგისიანობის შემოწმება და მათი განახლება	მუნიციპალური შესყიდვების სამსახური	მუნიციპალიტეტის ტექნიკური პერსონალი		
2	ცეცხლმაქრების განახლებისა და სახანძრო უსაფრთხოების ამაღლების ღონისძიებების ორგანიზება	ადმინისტრაციული სამსახური	მუნიციპალიტეტის ტექნიკური პერსონალი		
3	სახურავის კონსტრუქციების მონიტორინგი, მისი შეკეთება და საწვიმარი მილების გამაგრება	მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	მუნიციპალიტეტის ტექნიკური პერსონალი		

4	შენობის საერთო ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგის ორგანიზება (კომუნიკაციის, ნაგებობების, ელექტროობის, გაზის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების მოწესრიგება)	ა(ა)იპ ,,ჩოხატაურის სერვის ჯგუფი'' საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	მუნიციპალიტეტის ტექნიკური პერსონალი		
5	შენობის გარე პერიმეტრის დაცვის მონიტორინგი და დაცვის გაძლიერების ღონისძიებების ორგანიზება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	მუნიციპალიტეტის ტექნიკური პერსონალი		
6	პრევენციული ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადება	მუნიციპლაიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური			

მ ზ ა დ ყ ო ფ ნ ა

მერიის თანამშრომლები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ, თუ როგორ მოიქცნენ ხანძრის დროს, მზადყოფნასა და გამართულ მდგომარეობაში უნდა ინარჩუნებდნენ ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებს, იცოდნენ მისი ექსპლუატაციის წესები. ამ მიზნით წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად ორგანიზება უნდა გაეწიოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების მუდმივ მონიტორინგსა და სპეციალურ ტრენინგებს სახანძრო უსაფრთხოების სფეროში. პერიოდულად უნდა განახლდეს ხანძრის ქრობის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. ასევე, უზრუნველყოფილ უნდა იქნას კავშირგაბმულობის და შეტყობინების საშუალებების საიმედო ფუნქციონირება. ყოველწლიურად უნდა მოხდეს საგანგებო მართვის გეგმის განვითარება აღნიშნული რისკის ხელახალი შეფასების საფუძველზე.

გასატარებელი მზადყოფნის ღონისძიებების დეტალური გეგმა
სცენარი შიდა საფრთხის მიხედვით

№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი	ღონისძიების გახორციელებაზე დამხმარე პირები	განხორციელების ვადები	შენიშვნა
7	მართვის, კავშირგაბმულობის და შეტყობინების სისტემების მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა	ადმინისტრაციული სამსახური	შპს ,,მაგთიკომი“ სს ,,სილქნეტი“, (,,სქაიტელი'')		

8	შენობიდან ევაკუაციის პრაქტიკული წვრთნა	შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახური		
9	საგანგებო შტაბის სამაგიდო წვრთნა	შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	მუნიციპალიტეტის მერია		
10	პრაქტიკული მეცადინეობა: „ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის გამოყენება“	შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	მუნიციპალიტეტის მერია		
11	თეორიული მეცადინეობა თემაზე: „უსაფრთხო ქცევის წესები შენობაში ხანძრის დროს“	შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	ადმინისტრაციული სამსახური		
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა					
12	შშმ პირებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება	სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	მუნიციპალიტეტის მერია	6 თვეში ერთხელ	

რ ე ა გ ი რ ე ბ ა

ხორციელდება შეტყობინება ხანძრის შესახებ „112“-ზე და სახანძრო-სამაშველო დანაყოფების გამოძახება. დაუყოვნებლივ ვახდენთ თანამშრომლების ევაკუაციას შენობიდან წინასწარ განსაზღვრულ უსაფრთხო ადგილას (შენობის ფასადის კედლებიდან არა უმცირეს 10-15 მეტრის დაშორებით). ასევე შეძლებისდაგვარად ხორციელდება მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია. დაუყოვნებლივ უნდა გამოირთოს შენობაში შემავალი ელექტრო გაყვანილობა და გაზმომარაგება. შენობიდან ევაკუაციის გეგმა წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე, მისი ასლი თან ერთვის გეგმას (იხილეთ დანართი № 11).

გასატარებელი რეაგირების ღონისძიებების დეტალური გეგმა
სცენარი შიდა საფრთხის მიხედვით

№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განხორციელებაზე ძირითადი პასუხისმგებელი პირი	ღონისძიების განხორციელებაზე დამხმარე პირები	განხორციელების ვადები	შენიშვნა
13	სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახება სატელეფონო ზარით „112“	ადმინისტრაციული სამსახური/ხანძრის აღმომჩენელი პირი		დაუყოვნებლივ	

14	საევაკუაციო გზების შემოწმება	მერიის მუნიციპალური შესყიდვების სამსახური		0 + 5 წთ.	
15	პერსონალისა და თანამშრომლების ევაკუაცია შენობიდან	ადმინისტრაციული სამსახური		0 + 7 წთ.	
16	ევაკუირებულთა სიების გადამოწმება	ადმინისტრაციული სამსახური		0 + 25 წთ.	
17	პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით	ადმინისტრაციული სამსახური		0 + 30 წთ.	საჭიროების შემთხვევაში
18	მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია უსაფრთხო ადგილას	ადმინისტრაციული სამსახური/ ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური		0 + 30 წთ.	
19	სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება	ტექნიკური პერსონალი		0 + 35 წთ.	
20	გაზის, წყალმომარაგებისა და ელექტროგმომარაგების ძირითადი საკეტების ჩაკეტვა	ტექნიკური პერსონალი		0 + 40 წთ.	
21	დასახმარებლად მოსული სახანძრო-სამაშველო დანაყოფების დახვედრა და მათი ინფორმირება შექმნილი ვითარების შესახებ	ტექნიკური პერსონალი			დანაყოფების მოსვლისთანავე

ა ღ დ გ ე ნ ა

ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის დადგენის მიზნით, ადგილობრივი საგანგებო შტაბი ორგანიზებას უკეთებს ზარალის შეფასებას და დაზიანებული შენობის აღდგენისათვის პირველი რიგის ღონისძიებების შემუშავებას. მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოების მონიტორინგი. მიიღება ზომები მერიის ფუნქციონირების სრულად და უმოკლეს დროში აღდგენის მიზნით.

გასატარებელი აღდგენის ღონისძიებების დეტალური გეგმა
სცენარი შიდა საფრთხის მიხედვით

№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი	ღონისძიების განხორციელებაზე დამხმარე პირები	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის დადგენის მიზნით შესაბამისი კომისიის შექმნა და მისთვის დავალებების დასახვა	მუნიციპალიტეტის მერი	კომისია	რეაგირების შეწყვეტისთანავე	

2	დაზიანებული შენობის/შენობების აღდგენისათვის პირველი რიგის ღონისძიებების შემუშავება	მუნიციპალიტეტის მერი	კომისია ა(ა)იპ ,,ჩოხატაურის სერვის ჯგუფი''	რეაგირების შეწყვეტიდან 2 საათის განმავლობაში	
3	აღდგენითი სამუშაოების მონიტორინგი	მუნიციპალიტეტის მერი	არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური/ ზედამხედველობის სამსახური	მუდმივად	
4	მერიის ფუნქციონირების სრულად და უმოკლეს დროში აღდგენის მიზნით შესაბამისი ზომების მიღება	მუნიციპალიტეტის მერი	ადმინისტრაციული სამსახური	რეაგირების შეწყვეტიდან 12 საათის განმავლობაში	
5	დაზიანებული შენობის და მისი ცალკეული ელემენტების რეკონსტრუქცია	მუნიციპალიტეტის მერი	არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	სარეაბილიტაციო პერიოდში	